

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N025/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ენვერი აბუალძე (სტუდენტი)

ფაქტები:

საჩივრის ავტორს, მის სამ ოჯახის წევრსა და ადვოკატს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ადვოკატს კლიენტისა და მისი ოჯახის წევრების ინტერესები უნდა წარმოედგინა სასამართლოში სამოქალაქო დავაზე. აღნიშნულ ხელშეკრულებით ადვოკატის ერთ-ერთი კლიენტი იყო საჩივრის ავტორის მამა. ადვოკატმა სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით შეადგინა შესაგებელი, რომელზეც ოთხივე კლიენტს უნდა მოეწერა ხელი. შესაგებელზე ოთხივე კლიენტის ხელმოწერისათვის საკმარისი დრო არ იყო, რის გამოც ადვოკატმა საჩივრის ავტორის მამის ნაცვლად მოაწერა ხელი შესაგებელს, ვინაიდან საჩივრის ავტორმა მას განუმარტა, რომ იმ დღესვე გაუკეთებდნენ რწმუნებულებას.

პროცესუალური ისტორია:

საპროცესო კოლეგიამ აღძრა დევნა ადვოკატის მიმართ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატის მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს კანონით განსაზღვრული საშუალებების გამოყენებით და მიზნად არ უნდა დაისახოს კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღწევა არაკანონიერი საშუალების გამოყენების გზით. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა შესაგებელზე ხელმოწერა კლიენტის მამის სახელით შეასრულა მაშინ, როდესაც, ჯერ მასზე არ იყო გაცემული ამ პირის მიერ მინდობილობა და ასეთი მინდობილობის არსებობის შემთხვევაშიც ის ვალდებული იყო ხელმოწერა შეესრულებინა არა მარწმუნებლის სახელით, არამედ თვისი სახელით, როგორც მისი რწმუნებული პირის მიერ შესრულებული ხელმოწერა. სხვა პირის ნაცვლად მათი სახელით ხელმოწერის შესრულება ადვოკატის მიერ გაუმართლებელია რწმუნებულების არსებობის შემთხვევაშიც. ადვოკატის მიერ შესაგებელზე კლიენტის ნაცვლად მისი სახელისა და გვარის დაფიქსირებით ხელმოწერისას და ასეთი შესაგებლის სასამართლოში წარდგენისას, მარწმუნებელთა ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედების შემთხვევაშიც, სახეზეა ადვოკატის მიერ კანონსაწინააღმდეგო საშუალების გამოყენება, მიუხედავად იმისა, ეს ქმედება ექცევა თუ არა კლიენტის ინტერესების სფეროში.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების დარღვევა და ადვოკატის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განისაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

¹ https://gba.ge/pdf/5d71fdc7c175d.pdf/025_13_16.04.2014.pdf